ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 31 ივლისი, 2012 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2012 წლის 31 მაისს გამოცხადებულ, N501 კონკურსის საშუალებით ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

მამუკა თამაზაშვილი

ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის
რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №7-2

ქ. ბათუმი, 31 ივლისი, 2012 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 31 მაისს გამოცხადებული N501 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა მამუკა თამაზაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2012 წლის 31 მაისს და მთავრდებოდა 2012 წლის 8 ივნისს 18^{00} საათზე. 2012 წლის 8 ივნისს 14^{15} საათზე და 17^{45} საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა შესაბამისად ორმა კონკურსანტმა: შპს „ჯეორესეტმა“ და შპს „აჭარსპეცპროექტმა“.

დალუქული პაკეტები საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2012 წლის 31 ივლისს, 15^{30} საათზე. შპს „ჯეორესეტს“ და შპს „აჭარსპეცპროექტს“ საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის გადახდილი აქვთ საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვალისწინებს საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთაღნიშნული პირობა შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს „ჯეორესეტის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკონკურსო წინადადების ფასი - 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი, საპროექტო წინადადება, კონცეფცია, განმარტებითი ბარათი, ტექნიკური დავალება, ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, ინფორმაცია კონკურსანტის სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, ხელშეკრულების აუცილებელი პირობები, კონკურსანტი პირის რეკვიზიტები. კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება თავისი ვიზუალური ხარისხით და შინაარსობრივი დატვირთვით ვერ აკმაყოფილებს კომისიის მხრიდან მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და არ იქნა მოწონებული საკონკურსო კომისიის არც ერთი წევრის მიერ.

აქედან გამომდინარე, შპს „ჯეორესეტი“ ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში (N501).

საკონკურსო კომისიამ განიხილა შემდეგი კონკურსანტის შპს „აჭარსპეცპროექტის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკონკურსო წინადადების ფასი - 49560 (ორმოცდაცხრაათას ხუთას სამოცი) ლარი, საპროექტო წინადადება, კონცეფცია, განმარტებითი ბარათი, ტექნიკური დავალება, ინფორმაცია კონკურსანტის სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, ხელშეკრულების აუცილებელი პირობები, კონკურსანტი პირის რეკვიზიტები. კონკურსანტს არასრულყოფილად აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, კერძოდ საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის „ა“ (უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 2009, 2010,2011წ. და 2012 წლის 1 მაისამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურება (შენობა-ნაგებობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) საერთო ღირებულებით არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით) და „გ“ (ანალოგიური

ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: ხელშეკრულების ასლები ხარჯთაღრიცხვით, მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტების ასლები) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს საკონკურსო დოკუმენტაციის ცხრილი N1-ის შესაბამისად. საკონკურსო კომისიის მიერ მოწონებული იქნა შპს „აჭარსპეცპროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება თავისი ვიზუალური ხარისხითა და შინაარსობრივი დატვირთვით. გამომდინარე იქედან, რომ კონკურსანტს არასრულად აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილების შესახებ, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული დოკუმენტაცია, კერძოდ საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „ჯეორესეტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, შპს „ჯეორესეტი" დისკვალიფიკაცირებულ იქნეს ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში (N501);

2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „ჯეორესეტს";

3. შპს „აჭარსპეცპროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები სრულად არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

3. შპს „აჭარსპეცპროექტმა" არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაცია, კერძოდ საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

4. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „აჭარსპეცპროექტს";

5. კონკურსის შედეგები (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 31 ივლისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ლეკვეიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

ირჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

მამუკა თამაზაშვილი

ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. **N1**/რუსთაველის ქ. **N53**-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კოეფიციენტი	შპს „აჭარსპეცპროექტი“	
		ქულა	ჯამი
ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა	0,5	10	5
ანალოგიური საქმიანობის და სპეციალისტთა გამოცდილება	0,3	10	3
საკონკურსო წინადადების ფასი	0,2	10	2
საერთო ჯამი			10

რობერტ ჩხაიძე ----------

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

2012 წლის 31 ივლისი

ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. **N1**/რუსთაველის ქ. **N53**-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კოეფიციენტი	შპს „აჭარსპეცპროექტი“	
		ქულა	ჯამი
ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა	0,5	10	5
ანალოგიური საქმიანობის და სპეციალისტთა გამოცდილება	0,3	10	3
საკონკურსო წინადადების ფასი	0,2	10	2
საერთო ჯამი			10

დავით ლეკვეიშვილი ----------
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
2012 წლის 31 ივლისი

ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კოეფიციენტი	შპს „აჭარსპეცპროექტი“	
		ქულა	ჯამი
ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა	0,5	10	5
ანალოგიური საქმიანობის და სპეციალისტთა გამოცდილება	0,3	10	3
საკონკურსო წინადადების ფასი	0,2	10	2
საერთო ჯამი		-	10

არჩილ ვანაძე ----------
საკონკურსო კომისიის წევრი

2012 წლის 31 ივლისი

ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კოეფიციენტი	შპს „აჭარსპეცპროექტი“	
		ქულა	ჯამი
ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა	0,5	10	5
ანალოგიური საქმიანობის და სპეციალისტთა გამოცდილება	0,3	10	3
საკონკურსო წინადადების ფასი	0,2	10	2
საერთო ჯამი			10

ვლადიმერ ხინთიბიძე

საკონკურსო კომისიის წევრი

2012 წლის 31 ივლისი

ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქ. N1/რუსთაველის ქ. N53-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების კოეფიციენტი	შპს „აჭარსპეცპროექტი“	
		ქულა	ჯამი
ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა	0,5	10	5
ანალოგიური საქმიანობის და სპეციალისტთა გამოცდილება	0,3	10	3
საკონკურსო წინადადების ფასი	0,2	10	2
საერთო ჯამი			10

მამუკა თამაზაშვილი -----

საკონკურსო კომისიის წევრი

2012 წლის 31 ივლისი